

პეტრე უსკენსკი

## სასწავლებლის ძიებაში

(უცნობი სწავლების ფრაგმენტები)

თარგმანი ინგლისური ენიდან  
ეკუთვნის დავით ჯანგველაძეს

გამომცემლობა „აქტი“  
თბილისი / 2024

„სასწაულებრივის ძიებაში“ აღიქმება, როგორც ყველაზე ღირებული და სანდო დოკუმენტაცია გიორგი გურჯიევის ფსიქო-ეზოტერული სისტემის შესახებ, რომელსაც თავად გურჯიევი „ეზოტერულ ქრისტიანობას“ უწოდებს. ეს არის ისტორიული, გავლენიანი და დოკუმენტური ნაშრომი, რომელშიც ძალიან გასაგებად არის წარმოდგენილი ადამიანური ფსიქიკის შრეები, მრავალი ობიექტური ჭეშმარიტება, რომელსაც სხვაგან ვერსად შეხვდებით, სახარებისეული იგავების ზუსტი განმარტება, სამყაროსეული კანონების დაკვირვება და მრავალი აღმოსავლური სისტემის ერთობლიობა.

ჩვენი გონება თითოეულ გვერდზე რაღაც ახალს ისწავლის, რომელსაც ზოგჯერ დაეთანხმება, ზოგჯერ არ დაეთანხმება, ხანდახან ვერ გაიგებს, ისევ მოუბრუნდება და გაცნობიერება ოკეანის ტალღასავით დაეტაკება. მთავარია გახსოვდეთ, რომ თქვენგან არ მოითხოვება ყველაფრის ერთბაშად გაგება პირველი წაკითხვისას, ან თუნდაც მეორე და მესამე გადაკითხვისას. ეს წიგნი თქვენს ქვეცნობიერზე იდუმალი გზებით მუშაობს, რადგან ყოველი დეტალი, რომელსაც გურჯიევი უსპენსკის გავლით იძლევა, შესაძლებელია, რომ საკუთარი გამოცდილებით იქნეს დანახული და დადასტურებული, რაც საკუთარ თავზე მუშაობას, ინდივიდუალობის მოპოვებას, ჩვენში არსებული ცრუ პიროვნებებისგან განთავისუფლებას და არსების გავლით ცხოვრებას ეხება.

მთარგმნელი: დავით ჯანგველაძე

რედაქტორი: დავით ცომაია

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024

ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-7138-2

## საჩეპვი

მთარგმნელის წინასიტყვაობა.....4

### სასწაულებრივის ძიებაში

(უცნობი სწავლების ფრაგმენტები)

თავი პირველი.....	11
თავი მეორე.....	53
თავი მესამე.....	89
თავი მეოთხე.....	107
თავი მეხუთე.....	133
თავი მეექვსე.....	158
თავი მეშვიდე.....	184
თავი მერვე.....	215
თავი მეცხრე.....	254
თავი მეათე.....	292
თავი მეთერთმეტე.....	316
თავი მეორმეტე.....	344
თავი მეცამეტე.....	379
თავი მეოთხმეტე.....	405
თავი მეთხუთმეტე.....	435
თავი მეექვსმეტე.....	461
თავი მეჩვიდმეტე.....	506
თავი მეთვრამეტე.....	541

## მთარგმნელის წინასიტყვაობა

პიოტრ უსპენსკი დაიბადა 1878 წლის 5 მარტს, რუსეთის იმპერიაში, ქალაქ მოსკოვში. 1890-იან წლებში მოსკოვის გიმნაზიაში სწავლობდა, თუმცა მოწვეული ინსპექტორის თვალწინ, კედელზე გრაფიტის დახატვის გამო გიმნაზიიდან გარიცხეს. ამის შემდეგ, იგი მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად ცდილობდა ცხოვრების გაგრძელებას. 1906 წელს, უსპენსკი მუშაობდა მოსკოვის ყოველდღიურ გაზეთ – „დილის“ რედაქციაში. 1907 წელს იგი თეოსოფიით დაინტერესდა. 1913 წლის შემოდგომაზე, 35 წლის ასაკში, უსპენსკი აღმოსავლეთში გაემგზავრა, რასაც თავად აღწერდა, როგორც *სასწაულებრივის ძიებას*. მას ამ დროისთვის ძალიან სწყუროდა მეტი ცოდნის მიღება ფსიქოლოგიისა და ეზოტერიკის შესახებ, ხოლო შედეგად იმედოვნებდა, რომ აღმოსავლურ მოგზაურობებში იგი იმას იპოვიდა, რასაც ეძებდა. უსპენსკიმ ინდოეთში თეოსოფები მონახულა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ იძულებული გახდა, რომ მოსკოვში დაბრუნებულიყო. იგი აქ დაქორწინდა სოფია გრიგორიევნა მაქსიმენკოზე და სწორედ ამ პერიოდში, 1914 წელს, მან მოსკოვში გიორგი გურჯიევი გაიცნო.

გურჯიევის გაცნობის მომენტში, უსპენსკი სამწერლო წრეებში საკმაოდ კარგი რეპუტაციით სარგებლობდა, რადგან მისი ავტორობით უკვე რამდენიმე წიგნი იყო დაბეჭდილი, ხოლო ერთ-ერთი ნაწარმოები – *ტერტიუმ ორგანუმი*<sup>1</sup> – მკითხველებში მზარდ ინტერესს იწვევდა.

გურჯიევმა უსპენსკის უთხრა, რომ ყველაფერი, რასაც იგი ეძებდა, მისი ხელის გაწვდენაზე იყო და შორეულ მოგზაურობებში წა-

---

1. *Tertium Organum* – პეტრე უსპენსკის ცნობილი წიგნი ოკულტური საკითხების შესახებ, რომელიც 1912 წელს, გურჯიევთან შეხვედრამდე რამდენიმე წლით ადრე გამოქვეყნდა (მთარგმნელის შენიშვნა.).

სვლა სულაც არ წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას. მან გურჯიევთან ყოველკვირეულად დაიწყო შეხვედრა, რა დროსაც „ნევსკის“ კაფეში მრავალ საინტერესო თემას განიხილავდნენ. უსპენსკი თავიდანვე ძალიან მოიხიბლა გურჯიევის პიროვნებით, მისი საოცარი იუმორის გრძნობით და რაც ყველაზე მთავარია, მისი ღრმა ცოდნით, რადგან, როგორც თავად უსპენსკი გვეუბნება – „გურჯიევი საკუთარ პასუხებში იმაზე მეტს დებდა, ვიდრე მისგან ვითხოვდი“.

მალევე, უსპენსკი მოსკოვში გურჯიევის ჯგუფს ხვდება, რომლებიც გარკვეულ „ემოტერულ ცოდნაზე“ ლაპარაკობენ, თუმცა, უსპენსკი გარკვევით ვერ იგებს, რა თემაზე მიდის საუბარი. მომდევნო დღეებში, „ნევსკის“ კაფეში კიდევ ერთი მუსაიფისას, გურჯიევი უსპენსკის საკმაოდ უცნაურ სიტყვებს ეუბნება, რითაც *მეოთხე გზის*<sup>2</sup> სისტემის და მათი მრავალწლიანი ურთიერთობის კარები გახსნას იწყებს:

„მექანიზაცია, რომელზეც შენ საუბრობ, არ არის ყველაზე საშიში. ადამიანი შეიძლება ადამიანი იყოს, როდესაც მანქანებთან მუშაობს – მან ამას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი – არსებობს სხვა სახის მექანიზაცია, რომელიც ბევრად უფრო საშიშია. სწორედ ის, რომ თავად იყო მანქანა. ოდესმე გიფიქრია იმის შესახებ, რომ ყოველი ადამიანი თავად არის მანქანა? მინდა გაიგო, რას ვამბობ. შეხედე, ყველა ადამიანი რომელსაც ხედავ – ქუჩის გასწვრივ ხალხზე მიმითითა – უბრალოდ მანქანაა, მეტი არაფერი“.

ამის შემდეგ დაიწყო მრავალწლიანი, უალრესად საინტერესო სწავლება სამყაროსა და ადამიანის შესახებ, რომლის შესახებაც დეტალურად მოცემულ წიგნშია საუბარი. წიგნის თაროებზე მისი პირველი გამოჩენის შემდეგ (1949), *სასწავლებლების ძიებაში* აღიქმება, როგორც ყველაზე ღირებული და სანდო დოკუმენტაცია გიორგი გურჯიევის ფსიქო-ემოტერული სისტემის შესახებ, რომელსაც თავად გურჯიევი *ემოტერულ ქრისტიანობას* უწოდებს. ეს არის ისტორიული, გავლენიანი და დოკუმენტური ნაშრომი, რომელშიც

---

2. *მეოთხე გზა* – პეტრე უსპენსკის წიგნი და ემოტერული სწავლების სისტემა გიორგი გურჯიევის მიხედვით (გამომცემლის შენიშვნა).

ძალიან გასაგებად არის წარმოდგენილი ადამიანური ფსიქიკის შრეები, მრავალი ობიექტური ჭეშმარიტება, რომელსაც სხვაგან ვერსად შეხვდებით, სახარებისეული იგავების ზუსტი განმარტება, სამყაროსეული კანონების დაკვირვება და მრავალი აღმოსავლური სისტემის ერთობლიობა.

არსებობს მცდარი მოსაზრება, თითქოს ბოლო წლებში უსპენსკი გურჯიევს განუდგა, რასაც უშუალოდ ფაქტები არ ადასტურებენ. გურჯიევის ამერიკაში გამგზავრებისას უსპენსკიმ მასთან ერთად წასვლაზე უარი თქვა, რადგან ლონდონში დაფუძნებულ ცენტრში სურდა ლექციების გაგრძელება. სულ ესაა. უსპენსკი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც თავდადებულად მუშაობდა იმისთვის, რათა *მეოთხე გმის* სისტემა რაც შეიძლება ფართოდ და ხელმისაწვდომად ყოფილიყო გავრცელებული მსოფლიოს მასშტაბით.

უსპენსკი თავადაც აღიარებს სისტემის სირთულეს და იმას, რომ იგი ყველას არ ეკუთვნის. ეს სისტემა მხოლოდ მათთვისაა, ვინც სხვა სისტემები გამოცადა და მათგან ვერანაირი ხილული, ობიექტური შედეგი ვერ მიიღო. სისტემის გასაგებად გადადგმული პირველი ნაბიჯი არის პრაქტიკა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში სრულებით არ გამოიყენება და იგი ჩვენს ცხოვრებაში განზრახვის ძალით შემოგვაქვს – ეს არის თვითგახსენების პრაქტიკა. მოცემული პრაქტიკა ერთდროულად რამდენიმე მიზანს ემსახურება, რომელთაგან ყველაზე მთავარი ის არის, რომ ადამიანს ცხადად დაანახოს, თუ დღის განმავლობაში რამდენად არ ახსოვს მას საკუთარი თავი და რამდენად მექანიკური და უკონტროლოა მისი ყოველი ფიქრი და ემოცია. თვითგახსენებისას ადამიანი ცდილობს საკუთარი თავის აწმყოში განცდის შეგრძნების გახანგრძლივებას და ხვდება, რომ ამას საუკეთესო შემთხვევაში რამდენიმე წუთით ახერხებს, შემდეგ კი ისევ გაუცნობიერებლობის ხანგრძლივი ინტერვალი ახლოვდება, რომელსაც გურჯიევი პირდაპირი მნიშვნელობით „ძილს“ უწოდებს.

თვითგახსენება ყველაფრის გასაღებია, რომლის გარეშეც მოცემულ სისტემაში და ზოგადად, ცხოვრების ყველა ასპექტში – ვერაფერი მიიღწევა.

უსპენსკი გურჯიევის სწავლებას მომხიბლავი და ხელმისაწვდომი დეტალებით აღწერს, რაც საუკეთესო შესავალია როგორც სტუდენტის, ასევე მასწავლებლის ნაწარმოებებში. დოგმატიზმით და საზოგადოებრივი პროგრამირებებით განპირობებული გონებისთვის ეს წიგნი ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო იარაღია, რომელსაც ოდესმე წაიკითხავს, რადგან იგი უკუღმა ატრიალებს ყველაფერს, რის შესახებაც ოდესმე უფიქრია და წიგნის დასასრულს არასოდეს იქნება იგივე, როგორიც აქამდე იყო...

ჩვენი გონება თითოეულ გვერდზე რაღაც ახალს ისწავლის, რომელსაც ზოგჯერ დაეთანხმება, ზოგჯერ არ დაეთანხმება, ხანდახან ვერ გაიგებს, ისევ მოუბრუნდება და გაცნობიერება ოკეანის ტალღასავით დაეტაკება. მთავარია გახსოვდეთ, რომ თქვენგან არ მოითხოვება ყველაფრის ერთბაშად გაგება პირველი წაკითხვისას, ან თუნდაც მეორე და მესამე გადაკითხვისას. ეს წიგნი თქვენს ქვეცნობიერზე იდუმალი გზებით მუშაობს, რადგან ყოველი დეტალი, რომელსაც გურჯიევი უსპენსკის გავლით იძლევა, შესაძლებელია, რომ საკუთარი გამოცდილებით იქნეს დანახული და დადასტურებული, რაც საკუთარ თავზე მუშაობას, ინდივიდუალობის მოპოვებას, ჩვენში არსებული ცრუ პიროვნებებისგან განთავისუფლებას და არსების გავლით ცხოვრებას ეხება.

არსებობს უდიდესი შანსი იმისა, რომ ეს წიგნი თქვენზე შეუდარებელ შთაბეჭდილებას მოახდენს, რაც ბუნებრივი შედეგი იქნება იმ ყურადღებისა, რომელსაც კითხვისას მოცემულ წიგნს დაუთმობთ. გენიალური წიგნების თავისებურება ის არის, რომ მათი ერთხელ წაკითხვა არასოდეს არის საკმარისი. ყოველი წაკითხვისას იხსნება რაღაც, რასაც წინა ჯერზე ჩვენამდე არ მოუღწევია, რაც გამოგვრჩა, რაც ვერ გავიგეთ ან უბრალოდ გვეგონა, რომ გავიგეთ. *სასწაულებრივის ძიებაში* ერთ-ერთი ასეთი წიგნია. მას გაცვეთამდე სჭირდება წაკითხვა, სანამ ხელში ფურცლები არ შემოგვეშენებათ, ხოლო შემდეგ ახალი ეგზემპლარის ყიდვა და ისევ წაკითხვა აუცილებელი. ამ წიგნის მიერ მოცემული ძღვენი იმის ტოლფასია, რა ძალისხმევასაც თქვენ ჩადებთ მის გაგებაში.

პეტრე უსპენსკი

სასწავლებლის დიეზი

უცნობი სწავლების ფრაგმენტები



## თავი პირველი

ინდოეთიდან დაბრუნება. ომი და „სასწაულებრივის ძიება“. ძველი ფიქრები სკოლათა საკითხების შესახებ. აღმოსავლეთი და ევროპა. განცხადება მოსკოვის გაზეთში. ლექციები ინდოეთის შესახებ. შეხვედრა გამორჩეულ ადამიანთან, „გიორგი გურჯიევთან“. პირველი საუბარი – გურჯიევის აზრი სკოლების შესახებ. გურჯიევის ჯგუფი, „ტეშმარიტების ნაპერწკლები“. შემდგომი შეხვედრები და საუბრები. გურჯიევის მოსკოვის ჯგუფის ორგანიზაცია და სამუშაოს შესრულების საკითხი. გასაიდუმლოების საკითხი და მოსწავლეთა მიერ მისაღები ვალდებულებები. საუბარი აღმოსავლეთზე. „ფილოსოფია“, „თეორია“ და „პრაქტიკა“. როგორ იქნა ნაპოვნი სისტემა? გურჯიევის იდეები. „ადამიანი არის მანქანა“, რომელსაც გარეგანი გავლენები მართავს; ყველაფერი უბრალოდ „ხდება“. არავინ არაფერს „აკეთებს“ იმისათვის, რომ რაღაც „აკეთო“, აუცილებელია – „იყო“. ადამიანი პასუხისმგებელია თავის ქმედებებზე, მანქანა კი არ არის პასუხისმგებელი. არის თუ არა ფსიქოლოგია აუცილებელი „მანქანების“ შესასწავლად? „ფაქტების“ შესწავლა. შესაძლებელია ომები შეჩერდეს? საუბარი პლანეტებსა და მთვარეზე, როგორც ცოცხალ არსებებზე. მზისა და დედამიწის „ინტელექტი“. „სუბიექტური“ და „ობიექტური“ ხელოვნება.

რუსეთში 1914 წლის ნოემბერში დავბრუნდი; ეგვიპტეში, ცეილონსა და ინდოეთში საკმაოდ გრძელი მოგზაურობის შემდეგ, ანუ

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში... ომმა კოლომბოში მიპოვა და სწორედ იქიდან დავბრუნდი რუსეთში ინგლისის გავლით.

ჩემი მოგზაურობის დასაწყისში პეტერბურგიდან წამოსვლისას ვთქვი, რომ „სასწაულებრივის საძიებლად“ მივდიოდი. „სასწაულებრივის“ განსაზღვრება ძალიან რთულია, მაგრამ ჩემთვის ამ სიტყვას საკმაოდ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. დიდი ხნის წინ მივედი დასკვნამდე, რომ იმ წინააღმდეგობათა ლაბირინთიდან, რომელშიც ვცხოვრობთ, გასაქცევი არ არსებობს, გარდა სრულიად ახლებური გზისა, რომელიც ყველაფრისგან განსხვავებული იქნება, რაც კი აქამდე იყო ჩვენთვის ცნობილი ან გამოყენებული. თუმცაღა მაინც, სად იწყებოდა ეს ახალი ან მივიწყებული გზა, წარმოდგენა არ მქონდა. მე უკვე ვიცოდი, როგორც უდავო ფაქტი, რომ ცრუ რეალობის თხელი ფარდის მიღმა არსებობდა სხვა რეალობა, რომელსაც გარკვეულ მიზეზთა გამო დავშორდი. „სასწაულებრივი“ წარმოადგენდა იმ რეალობაში შეღწევის აქტს, რომელსაც ჩამოვშორდი, და მეჩვენებოდა, რომ შეუცნობლის აღმოჩენა აღმოსავლეთში შეიძლებოდა. რატომ აღმოსავლეთი? პასუხის გაცემა რთული გახლდათ. ამ იდეაში ალბათ იყო რაღაც რომანტიკული, მაგრამ შესაძლოა ეს აბსოლუტურად რეალურ რწმენას ემყარებოდა – რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ევროპაში ვერაფერს მივაგნებდი.

უკან დაბრუნებისას და ლონდონში გატარებული რამდენიმე კვირის განმავლობაში ძიების შედეგებზე არსებული ჩემი ფიქრები მთლიანად ჩაიძირა დაბნეულობაში, რომელიც ომის ველურ აბსურდულობას უკავშირდებოდა; ყველა ემოცია, გაზეთი და საუბარი ომს ეხებოდა, რომელიც ჩემი ნების საწინააღმდეგოდ ხშირად ზემოქმედებდა ჩემზე.

თუმცაღა როდესაც რუსეთში დაბრუნების შემდეგ ხელახლა განვიცადე ყველა ის ფიქრი, რომლითაც მოგზაურობა დავიწყე, ვიგრძენი, რომ ჩემი ძიება და მასთან დაკავშირებული ყველა ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ის მოვლენები, რომლებიც „აშკარა აბსურდულობის“ სამყაროში ხდებოდა, ან შეიძლებოდა რომ მომხდარიყო. სწორედ მაშინ ჩემს თავს ვუთხარი, რომ

ომი უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთ-ერთი ზოგადად კატასტროფული ცხოვრებისეული პირობა, რომელშიც უნდა ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვეძიოთ პასუხები ჩვენს კითხვებსა და ეჭვებზე. დიდი ევროპული ომი – შესაძლებლობა, რომლის დაჯერებაც კი არ მიწოდდა და რომლის რეალობის აღიარებაც დიდი ხნის მანძილზე არ მსურდა – ჩემთვის ფაქტად იქცა. ჩვენ გამოვცადეთ და დავინახეთ, რომ ომი უნდა მივიღოთ, როგორც დიდი *memento mori*<sup>1</sup> რა უკანასკნელიც გვიჩვენებს, რომ აჩქარება აუცილებელია და შეუძლებელია ისეთი „სიცოცხლის“ რწმენა, რომელსაც არსად მივყავართ.

ომი პირადად მე ვერ შემეხებოდა, ყოველ შემთხვევაში ფინალურ კატასტროფამდე მაინც, რომელიც გარდაუვალი მეჩვენებოდა რუსეთისათვის და, შესაძლოა, მთელი ევროპისთვისაც კი, მაგრამ ჯერჯერობით ბოლომდე უცილობელი მაინც არ იყო. თუმცა მაშინ, რა თქმა უნდა, მოახლოებული კატასტროფის გადავადება მხოლოდ დროებითად გვესახებოდა და არავინ იაზრებდა ნგრევასა თუ განადგურებას – როგორც გარეგანს, ასევე შინაგანს – რომელთან ერთადაც მომავალში უნდა გვეცხოვრა.

აღმოსავლეთისა და განსაკუთრებით ინდოეთის შთაბეჭდილებების მთლიანი შეჯამებისას უნდა მეღიარებინა, რომ დაბრუნებისას ჩემი პრობლემა კიდევ უფრო რთული და კომპლექსური ჩანდა, ვიდრე წასვლისას იყო. ინდოეთსა და აღმოსავლეთს არა მხოლოდ არ დაუკარგავთ სასწაულებრივი მომხიბვლელობა, არამედ ისეთი გლამურული ჩრდილებიც შეიძინეს, რომლებიც აქამდე არ ჰქონდათ. მე ნათლად დავინახე, რომ იქ შეიძლებოდა რაღაცის პოვნა, რომელიც უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს ევროპაში, და მივიჩინე, რომ ჩემ მიერ აღებული მიმართულება სწორი იყო; თუმცაღა ამავდროულად დავრწმუნდი, რომ საიდუმლო უფრო უკეთესად და ღრმად იყო დაფარული, ვიდრე ვგარაუდობდი.

წასვლისთანავე ვიცოდი, რომ გარკვეული სკოლების ძიებას ვაპირებდი. ამ საკითხამდე ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ მივედი. მი-

---

1. (ლათ.) – „გახსოვდეს სიკვდილი“ (მთარგ. შენ.).

ვხვდით, რომ პიროვნულ-ინდივიდუალური მცდელობა არასაკმარისი გახლდათ და ცოცხალ აზრებთან უშუალო დაკავშირება იყო საჭირო, რა ყოველივეც სადღაც უნდა არსებობდეს, მაგრამ მასთან კავშირი უკვე დავკარგეთ.

თავად სკოლების მიმართ არსებული იდეა ძალიან შეიცვალა ჩემი მოგზაურობის განმავლობაში; ერთი მხრივ, უფრო მარტივი და კონკრეტული გახდა, მეორე მხრივ კი – გზა უფრო ცივად და შორეულად იქცა. მინდა ვთქვა, რომ აღნიშნულმა სკოლებმა ზღაპრული ბუნების საკმაოდ ბევრი ასპექტი დაკარგეს.

ჩემი წასვლისას საკუთარ თავში ის კონცეფცია დავუშვი, თუ რამდენად ფანტასტიკური იყო სკოლები. „დავუშვი“ ალბათ ძალიან უხეში სიტყვაა. უკეთ რომ ვთქვათ, მე ვოცნებობდი სკოლებთან არაფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობაზე, ანუ „სხვა დონეებთან“ შეხებაზე. გარკვევით ვერ ვხსნიდი, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ სკოლასთან კონტაქტის დაწყებასაც კი შეიძლება ჰქონდეს სასწაულებრივი ბუნება. მაგალითად, წარმოვიდგენდი კონტაქტის შესაძლებლობას შორეული წარსულის სკოლებთან – პითაგორას სკოლებთან, ეგვიპტის სკოლებთან და ასე შემდეგ.

მეჩვენებოდა, რომ ასეთი კონტაქტის დამყარებისას დროისა და სივრცის ბარიერები უნდა გამქრალიყო. სკოლების იდეა თავისთავად ფანტასტიკური იყო და ამ საკითხთან დაკავშირებით ზედმეტად ფანტასტიკურად არაფერი მეჩვენებოდა. ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ ვხედავდი ამ იდეებსა და ინდოეთში სკოლების პოვნას შორის. მეჩვენებოდა, რომ სწორედ ინდოეთში იქნებოდა შესაძლებელი რაიმე სახის კონტაქტის დამყარება, რომელიც შემდგომში მუდმივ და დამოუკიდებელ კავშირად გადაიქცეოდა ნებისმიერი გარეგანი ჩარევის გარეშე.

უკან დაბრუნებისას, მთელი რიგი შეხვედრებისა და შთაბეჭდილებების შემდეგ, სკოლების იდეა ბევრად უფრო რეალური და ხელშესახები გახდა, რის გამოც დაიკარგა ფანტასტიკური ელფერი. ძირითადად, ეს ალბათ იმიტომ მოხდა, რომ „სკოლა“ მოითხოვდა არა მარტო ძიებას, არამედ „შერჩევასაც“, ანუ არჩევანს – ვგულისხმობ, ჩვენი მხრიდან არჩევანს.